ბრძანება:**ბ86. 862416219**

თარიღი:**12/06/2024**

„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის

ოფიცრის განსაზღვრის შესახებ" 2024 წლის 27 მაისის ბ86.86241488 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე და 63-ე მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. "ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის შესახებ" 2024 წლის 27 მაისის ბ86.86241488 ბრძანებაში შეტანილ იქნას ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის და ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრად განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ილია გუმაშვილი და მიეცეს დიფერენცირებული ანაზღაურება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის N2 დანართის N2 ცხრილით განსაზღვრული მე-7 კოეფიციენტის და საბაზო თანამდებობრივი სარგოს ნამრავლის შესაბამისად, 1995 ლარის ოდენობით.".

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოცემისთანავე.

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად დაინტერესებული პირისთვის გაცნობა.

4. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41).

ალექსი ფიცხელაური

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი